

## შეტყობინება მეოთხე

### აუცილებლობა იმისა,

რომ ღმერთის ხალხი ეძებდეს მითითებას უფლისაგან  
და პქონდეთ უფლის თანდასწრება, რომ გამოავლინონ მისი გამარჯვება მისი  
სხეულის ასაშენებლად და მისი სამეფოს გასაგრცელებლად

ადგილები წერილიდან: მათე 1:5; იესო ნ. 6:22-26; 7:1-6, 10-15, 20-21; 9:14

- I. როდესაც ორი მზვერავი მივიდა იერიქოში, რახაბი (რომელიც იყო მრუში და ქანანეველი) შევიდა მათთან ურთიერთობაში და მზადყოფნით მიიღო ისინი, დამალა ისინი და დაეხმარა მათ, რომ გადარჩენილიყვნენ, და ეს ყველაფერი გააკეთა თავისი რწმენიდან გამომდინარე – (იესო ნ. 2:1ბ-7, 15-16, 22; იაკ. 2:25); მან ირწმუნა ისრაელის ღმერთი და განაცხადა: „იგჰოვა, თქვენი ღმერთი, ის არის ღმერთი ზეცაში მაღლა და დედამიწაზე დაბლა“ (იესო ნ. 2:1ბ):
- იგჰოვამ წარუდგინა მეძავი რახაბი იესო ხავეს ძეს მიწის მოსაპოვებლად; თავისი რწმენის წყალობით ღმერთში ის არ „მომკვდარა მათთან ერთად, ვინც არ დაემორჩილა“ (ებრ. 11:31); ის მიბრუნდა ისრაელისკენ და მათი ღმერთისკენ, და მან იმედი დაამყარა მასზე და მის ხალხზე (იესო ნ. 2:12-13).
  - ნიშანი, გამოყენებული რახაბისა და მისი სახლის გადასარჩენად, იყო ის, რომ მან დაკიდა თავისი სახლის ფანჯარაზე მეწამული ფერის ძაფის თასმა (მუხ. 18, 21); ფანჯარაზე მიბრუნდი მეწამული ფერის თასმა არის წინასახე იმისა, რომ ჩვენ ლიად ვაღიარებთ ქრისტეს გამომსყიდველ სისხლს (1 პეტ. 1:18-19); მან ირწმუნა, რომ ასეთი ნიშანის დახმარებით ის და მისი სახლი თავს დააღწევდა.
  - მიუხედავად იმისა, რომ რახაბი იყო მსჯავრდადებული ქანანეველი და მეძავი იერიხონში (იესო ნ. 2:1), იმ ადგილას, რომელიც საუკუნოდ იყო დაწყევლილი ღმერთისაგან (6:26), მას შემდეგ, რაც ის მიბრუნდა ღმერთისკენ და ღმერთის ხალხისკენ (მუხ. 22-25; ებრ. 11:30-31), ის დაქორწინდა საღმონზე (მათე 1:5), იუდას, ისრაელის წამყვანი ტომის, ერთ-ერთი ბელადის ძეზე (1 ნეშ. 2:10-11), და, ალბათ, ორიდან ერთ-ერთ მზვერავზე; შემდეგ მან შვა ბოყაზი, ღვთისმოსავი ადამიანი, რომლისგანაც წარმოიშვა ქრისტე, და აღმოჩნდა დაკავშირებული ქრისტესთან მის განკაცებაში ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის აღსრულებისათვის (მათე 1:5).
  - ეს გვიჩვენებს, რომ როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი წარსული, თუ ჩვენ მივბრუნდებით ღმერთისაკენ და მისი ხალხისაკენ და შევუერთდებით სათანადო ადამიანს ღმერთის ხალხიდან (არა ფიზიკური თვალსაზრისით, არამედ სულიერი თვალსაზრისით), ჩვენ მოვიტანთ კარგ ხაყოფს და მონაწილეობას მივიღებთ ქრისტეს კუთვნილი პირმშობის უფლებით ტკბობაში – გამ. 24:13; 33:11; რიცხ. 27:18; რჯლ. 34:9; იესო ნ. 1:1; 4 მეფ. 2:2-15; ფილიპ. 2:19-23; 1 კორ. 4:17.
- II. იერიხონის განადგურების შემდეგ, ისრაელმა განიცადა მარცხი პაღაისთან; იერიხონთან, ღმერთის სახლმშენებლობის თანახმად, იესომ გაგზავნა მზვერავები არა იმისათვის, რომ ებრძოლა, არამედ იმისათვის, რომ მოვალეობინა რახაბი;

მაგრამ ჰადაისთან, გინაიდან ისრაელმა დაკარგა უფლის თანდასწრება (იესო 6. 7:12გ), იესომ გაგზავნა მზეერავები, ბრძოლისათვის მოსამზადებლად (მუხ. 2-3):

ა. იესოსათვის მზეერავების მიერ მოტანილი ამბავი მიუთითებს იმაზე, რომ ისრაელმა გადადო დმერთი გვერდზე; ნაცვლად იმისა, რომ ეპითხაო დმერთისათვის, თუ როგორ ემოქმედათ ჰადაის წინააღმდეგ, მათ დაივიწყეს დმერთი და ზრუნავდნენ მხოლოდ თავის თავზე; იმ დროს ისინი არ იყვნენ ერთი დმერთთან, არამედ მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, არ ეძებდნენ მითითებას უფლისაგან და არ ჰქონდათ უფლის თანდასწრება; ისრაელი გამოყოფილი იყო დმერთისაგან თავისი ცოდვის გამო – მუხ. 1-5, 12გ:

1. ისრაელის მარცხის დაფარული მიზეზი ჰადაისთან იყო ის, რომ მათ დაკარგეს დმერთის თანდასწრება და აღარ იყვნენ ერთი დმერთთან; ამ მარცხის შემდეგ იესომ ისწავლა ერთი გაკვეთილი: ის უნდა დარჩენილიყო უფალთან კიდობნის წინ (მუხ. 6); საბოლოოდ უფალი მოვიდა, და დაიწყო მასთან საუბარი, და უთხრა, რა უნდა გაეკეთებინა მას (მუხ. 10-15).
2. ამ მონათხობიდან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ შემდეგი სულიერი გაკვეთილი: ჩვენ, დმერთის ხალხი, უნდა ვიყოთ ყოველთვის ერთი ჩვენს დმერთთან, რომელიც არა მარტო ჩვენ შორის არის, არამედ ჩვენშიც არის, და რომელიც გვხდის ჩვენ ადამიანებად დმერთთან – დმერთკაცებად.
3. როგორც დმერთკაცები, ჩვენ უნდა ვიყოთ პრაქტიკულად ერთი უფალთან, ვიაროთ მასთან ერთად, ვიცხოვოთ მასთან ერთად და მთელი ჩვენი არსებით ვიყოთ მასთან; სწორედ ასე ჩვენ დავდივართ როგორც ქრისტიანები, ვიბრძვით როგორც დმერთის შვილები და ვაშენებთ ქრისტეს სხეულს.
4. თუ ჩვენ გვაქვს უფლის თანდასწრება, ჩვენ გვაქვს სიბრძნე, გამჭრიახობა, წინასწარგანჭვრება და შინაგანი ცოდნა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით; უფლის თანდასწრება – არის ყველაფერი ჩვენთვის – 2 კორ. 2:10; 4:6-7; გალ. 5:25; დაბ. 5:22-24; გბრ. 11:5-6.

ბ. თუ ჩვენ გვინდა, რომ შევიდეთ ყოვლისმომცველ ქრისტეში როგორც კეთილი მიწის სინამდვილეში, მოვიპოვოთ ასეთი ქრისტე და დავტკბეთ მისით, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს უფლის თანდასწრების თანახმად; უფალი დაპირდა მოსეს: ჩემი თანდასწრება გამოგვება შენ, და მე მოგასვენებ შენ“ (გამ. 33:14); დმერთის თანდასწრება არის დმერთის გზა, „რუქა“, რომელიც გვიჩვენებს დმერთის ხალხს, თუ როგორი გზით უნდა იარონ მათ:

1. იმისათვის, რომ ჩვენ მთლიანად მოვიპოვოთ ქრისტე როგორც ყოვლისმომცველი მიწა და დავეუფლოთ ასეთ ქრისტეს დმერთის ნაგებობისათვის, ჩვენ უნდა დავიცვათ შემდეგი პრინციპი: დმერთის თანდასწრება არის კრიტერიუმი ნებისმიერ საკითხში; რაც არ უნდა გავაკეთოთ, ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, გვაქვს თუ არა დმერთის თანდასწრება; თუ ჩვენ გვაქვს დმერთის თანდასწრება, ჩვენ გვაქვს ყველაფერი, მაგრამ თუ ჩვენ ვარგავთ დმერთის თანდასწრებას,

- ჩვენ ვკარგავთ ყველაფერს – მათე 1:23; 2 ტიმ. 4:22; გალ. 6:18; ფსალ. 27:4; 8; 51:11; 2 კორ. 2:10; ეზეკ. 48:35.
2. „უფლის თანდასწრება, უფლის ღიმილი, არის ხელმძღვანელი პრინციპი; ჩვენ უნდა ვისწავლოთ, ნება მივცეთ პირდაპირ, უშუალო თანდასწრებას უფლისას (არა მის ირიბ თანდასწრებას) შეგვინახოს ჩვენ, გვმართოს ჩვენ, გვიხელმძღვანელოს ჩვენ და მიგვმართოს ჩვენ; მისი ძვირფასი თანდასწრება არის ძალა, რომელიც ნებას გვაძლევს ჩვენ, რომ მოვიპოვოთ ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც სინამდვილე კეთილი მიწისა, საიდანაც მოედინება რძე და თაფლი – გამ. 3:8; 25:30; რჯლ. 26:9; ეზეკ. 20:6.
3. „ახალგაზრდობაში მე მასწავლიდნენ სხვადასხვა საშუალებებს იმისათვის, რომ მომეპოვებინა გამარჯვება, რომ კყოფილიყავი გამარჯვებული, წმიდა და სულიერი. მაგრამ არც ერთი ეს საშუალება არ მეხმარებოდა. საბოლოოდ, სამოცდარვა წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიღებული განცდის შედეგად, მე აღმოვაჩინე, რომ არაფერი არ გვეხმარება, გარდა უფლის თანდასწრებისა. ყველაფერი, რაც ჩვენ გვჭირდება, – არის ის, რომ უფალი იყოს ჩვენთან“ – „იესო ნავეს ძის წიგნის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 58.
- გ. როდესაც ისრაელიანები შევიდნენ ქანაანის მიწაზე და მოიპოვეს გამარჯვება იერიხონზე, პირველმა, ვინც ჩაიდინა ცოდვა, იყო ყაქანი; სიდმისეული, სულიერი მნიშვნელობა და ღვთაებრივი შეხედულება ყაქანის სერიოზულ ცოდვაზე არის ის, რომ მან ისურვა ბაბილონის ლამაზი ტანსაცმელი („შინყარი“ არის ოლქი, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „ბაბილონი“), როდესაც ის ისწრაფვოდა გაეუმჯობესებინა თავისი თავი, რომ უკეთესი ყოფილიყო შესახედავად, გარეგნული იერის გამო – იესო 6. 7:21:
1. ანანიამ და საფირამ მოატყუეს წმიდა სული, შესცოდეს იმავე პრინციპის თანახმად – ეს არის ბაბილონის პრინციპი, ანუ თვალთმაქცობა – საქმე. 5:1-11; გამოც. 17:4, 6; მათე 23:13-36:
    - ა) მათ არც თუ ისე ძალიან უყვარდათ უფალი, მაგრამ უნდოდათ, რომ მათზე ჰქონოდათ შეხედულება, როგორც ისეთ ადამიანებზე, ვისაც ძალიან უყვარს უფალი; ისინი მხოლოდ თვალთმაქცობდნენ; ღმერთის შვილებმა თავი უნდა დაადწიონ თვალთმაქცობას ადამიანების წინაშე.
    - ბ) მათ არ უნდოდათ, სიხარულით მიეტანათ ყველაფერი ღმერთისათვის, მაგრამ ადამიანის წინაშე ისინი ისე მოიქცენენ, თითქოს მათ მიიტანეს ყველაფერი; ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვიმოსებით ტანსაცმლით, რომელიც არ შეესაბამება ჩვენს ჭეშმარიტ მდგომარეობას, ჩვენ ვმოქმედებთ ბაბილონის პრინციპით – 6:1-6; 15:7-8.
  2. ყველაფერი, რაც კეთდება სიყალბიდან გამომდინარე, ადამიანისაგან დიდების მისაღებად, ხდება მეძავის პრინციპის თანახმად, და არა პატარძლის პრინციპის თანახმად; ცრუ მიძღვნა და ცრუ სულიერება –

არის ცოდვები, ხოლო ჭეშმარიტი თაყვანისცემა არის თაყვანისცემა სულში და ჭეშმარიტობაში; დაე ღმერთმა გაგვხადოს ჩვენ ჭეშმარიტი ადამიანები – გამოცხ. 17:4-5; 19:7-9; ლუკა 12:1; 1 კორ. 2:9-10; 2 კორ. 2:10; 5:14-15; იოანე 4:23-24.

3. „მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ ხედავს ადამიანი; რადგან ადამიანი უყურებს გარეგნულს, ხოლო იქოვა უყურებს გულს“ (1 მეფ. 16:7); თუ ჩვენ დავაგროვებთ ღმერთის სიტყვას ჩვენს გულში (ფსალ. 119:11) და ნებას მივცემთ ქრისტეს, მოიწყოს თავისი სახლი ჩვენს გულში (ეფეს. 3:16-17), ის გახდება კეთილი საგანძური ჩვენი გულისა და ჩვენი გულის სიუხვიდან ჩვენ შევძლებთ დავარიგოთ ის, როგორც ეს საოცარი, კეთილი საგანძური სხვა ადამიანებში (ლუკა 6:44-45).

III. მას შემდეგ, რაც ისრაელმა ბოლო მოუდო თავის ცოდვას, ყაქანის ცოდვას (იესო 6. 7:11-12, 20-21), მათ მოიპოვეს გამარჯვება ჰალაზე (8:1-35), მაგრამ შემდეგ მოთხოვობილია იმაზე, თუ როგორ იყვნენ ისრაელის შვილები მოტყუებულნი გაბაონელების მიერ (9:1-27):

- ა. გაბაონელები იყვნენ ხიველები (მუხ. 3, 7; 11:18-19) – ერთ-ერთი ტომი ქანაანის მიწაზე, და ეს ტომი უნდა განადგურებულიყო ისრაელის მიერ, რადგან ისინი იყვნენ ეშმაკისულნი და შეზავებულნი დემონებთან (რჯლ. 7:2; 9:4-5; 18:9-14); გაბაონის მოსახლეობამ მოატყუა ისრაელი, მათ მიმართეს ცბიერებას (იესო 6. 9:3-14).
- ბ. ვინაიდან მათ მოისმინეს, რომ ისრაელმა გაიმარჯვა იერიქოზეც და ჰალაზეც, მათ მოინდომეს მშვიდობის დამყარება და აღთქმის დადება ისრაელთან, რათა ისრაელს დაეტოვებინა ისინი ცოცხლები; ისინი გამოვიდნენ, ისე თითქოს ისინი იყვნენ წარგზავნილები, და თავს აჩვენებდნენ თითქოს შორიდან იყვნენ მოსულნი; ისინი მივიდნენ იესოსთან ბანაკში გილგალში და უთხრეს მას და ისრაელის ხალხს: „შორეული მიწიდან მოვედიოთ... ჩვენ ვიქნებით ოქვენი მსახურები; აღთქმა დაგვიდეთ ახლა“ (6, 11).  
გ. იესო ნავეს ძის 9:14-ში ნათქვამი წარმოადგენს ძალიან ძლიერ ნაწყვეტს წერილებში, სადაც ნაჩვენებია, თუ რატომ იყვნენ ისრაელის შვილები მოტყუებულები გაბაონელების მიერ, – მათ „არ ჰყითხეს რჩევა იგჰოვას“; შედეგად იესომ დაამყარა მათთან მშვიდობა და დადო მათთან აღთქმა, ისე რომ დაეტოვებინა ისინი ცოცხლები (მუხ. 15):
1. ისრაელის შვილები იყვნენ მოტყუებულნი, რადგან მოიქცნენ ისე როგორც ცოლი, რომელმაც დაივიწყა თავისი ქმარი; მთელი ბიბლია არის დვთაებრივი რომანი, რომელიც მოვითხოვთ იმაზე, თუ როგორ ემიჯნურება თავის ამორჩეულ ხალხს ღმერთი და საბოლოოდ ქორწინდება მათზე (დაბ. 2:21-24; ქებ. ქ 1:2-4; ესაია 54:5; 62:5; იერ. 2:2; 3:1, 14; 31:32; ეზეპ. 16:8; 23:5; ოს. 2:7, 19; მათე 9:15; იოანე 3:29; 2 კორ. 11:2; ეფეს. 5:25-32; გამოცხ. 19:7; 21:2, 9-10; 22:17ა).
  2. ბიბლია გვიჩვენებს, რომ ჩვენ, ღმერთის რჩეულები, ვართ ღმერთის ცოლი და რომ ღმერთსა და ჩვენ შორის უნდა იყოს საქორწინო კავშირი, დაფუძნებული ურთიერთ სიყვარულზე; ამგვარად, სამყარო – ეს არის

- „ქორწინების სახლი“, ადგილი, სადაც ქმარი, გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმეთი, უერთდება ქორწინებით გამოსყიდულ, ხელახლაშობილ, გაწმიდანებულ, განახლებულ, გარდასახულ და განდიდებულ სამნაწილოვან ადამიანს; საბოლოო ბიბლია სრულდება ახალი იერუსალიმით როგორც საბოლოო დასრულებით ღმერთის რჩეულებისა ახალ ცასა და ახალ მიწაზე, როგორც სამყაროსეული ცოლით მარადიულად 21:9-10; 22:17ა.
3. ცოლმა არასოდეს არ უნდა მიატოვოს თავისი ქმარი; პირიქით, ის ყოველთვის დაიმედებული უნდა იყოს მასზე და ერთი იყოს მასთან; როდესაც გაბაონელები მივიღნენ ისრაელთან, ისრაელი, როგორც ცოლი, უნდა მისულიყო თავის ქმართან და შედარებოდა მას იმისთან დაკავშირებით თუ რა უნდა გაეკეთებინა – იესო 6. 9:14.
  4. როგორც მორწმუნებებმა, რომლებსაც უყვარო უფალი და ესწრაფვიან. იყვნენ მისი გამარჯვებული პატარძლის შემადგენელი ნაწილები, ჩვენ უნდა ვეთათბიროთ ღმერთს თითოეულ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით; ჩვენ უნდა მივუტანოთ თითოეული საკითხი უფალს, და ასევე ვიმსჯელოთ რაიმე საქმეზე, განვიხილოთ ის და მივიღოთ მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უფლის წინაშე და უფალთან ურთიერთობაში:
    - ა) ამ თვალსაზრისით თითოეული მორწმუნე უნდა იყოს სუსტი იმ დონემდე, რომ მას არ ჰქონდეს საკუთარი იდეა, არ მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილება და არ გააკეთოს არაფერი იმასთან დაკავშირებით, რასაც ის აწყდება, ისე რომ არ შეეხოს უფალს და არ მოითაბიროს უფალთან იმ მიზნით, რომ ნება მისცეს მას, მიიღოს საჭირო გადაწყვეტილება; ეს არის ქრისტიანის სიტკბოთი სავსე ცხოველება – 2 კორ. 12:9-10.
    - ბ) ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ყველაფერში ურთიერთობა გვქონდეს ღმერთთან, ყველაფერი განვიხილოთ მასთან და ნება მივცეთ მას, შეეხოს ყველაფერს, ილაპარაკოს ყველაფერში და მიიღოს ყველა გადაწყვეტილება; ეს არის რაღაც დიდებული, როდესაც ქრისტიანი დამოკიდებულია სხვა პიროვნებაზე – ღმერთზე – ყველ წუთს და ყველა საკითხში – ფილია. 4:6-7; იგავ. 3:5-6; იერ. 17:7-8; 2 კორ. 1:8-9; ფსალ. 62:8; ფსალ. 102, სათაური და მუხ. 7.
  5. თუ ღმერთს მიყავხართ თქვენ იმისკენ, რომ თქვენ იაროთ იმ გზით, რომელიც თქვენ არ იცით, „ეს გაიძულებთ თქვენ, ილაპარაკოთ მასთან ასჯერ და ათასჯერ, რაც გადაიზრდება მოგზაურობაში, რომელიც ხდება მარადიული მოგონება თქვენსა და მას შორის“ – \*ვოჩმან ნის ნაშრომთა კრებული, ტ. 7.
  6. იმის შედეგი, რომ ისრაელი არ ეძებდა რჩევას თავისი ქმრისა, ეს დამოუკიდებელი და ინდივიდუალისტური ცოლი იყო მოტყუებული, და მას არ აღმოაჩნდა არანაირი დაცვა; ამ მონათხობიდან წერილში ჩვენ

უნდა შევითვისოთ, რომ როგორც უფლის ცოლი, ჩვენ უნდა ვცხოვრობდეთ მასთან ერთად, ყოველთვის დაიმედებული ვიყოთ მასზე და ყოველთვის ერთნი ვიყოთ მასთან; ასეთია სიღრმისეული მნიშვნელობა იქსო ნავეს ძის მე-9 თავისა.